ხელშეკრულება 20/21

ქ. თბილისი 7 დეკემბერი, 2010 წ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "გაზეთი იბერია" (შემდგომში "მიმწოდებლად" წოდებული), მისი დირექტორის ნოდარ დუგლაძის სახით, ერთი ძხარე და **თელავის ფშაველის საჯარო სკოლა** შემდგომში "ხელმომწერად" წოდებული), მისი დირექტორის **ლილი ხაჩიძის** სახით, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მიმწოდებელი აწვდის ხელმომწერს გაზეთს ***The New York Times*** International Daily-ს (შემდგომში წოდებული გაზეთი).

1.2 გაზეთ(ებ)ის მიწოდების პერიოდი **25 დეკემბერი** 2010 წ-დან 25 დეკემბერი 2011 წ-მდე.

1.3 ეგზემპლარების რაოდენობა **1 ცალი.**

1.4 ერთი ეგზემპლარის ღირებულება **1ლარი.** სპეციალური, **30%-იანი** ფასდაკლების შემდგომ კი - **70 თეთრი.**

1.5 სულ გაზეთ(ებ)ის მიწოდების ღირებულება **182 ლარი.**

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

2.1.1 უზრუნველყოს გაზეთის მიწოდება ხელმომწერისთვის თავისი ტრანსპორტით მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში და რაოდენობით.

2.1.2 უზრუნველყოს გაზეთის ხარისხისა და რაოდენობივი ნორმების დაცვა;

2.2 ხელმომწერი ვალდებულია:

2.2.1 უზრუნველყოს გაზეთის მიღება მიწოდებისთანავე.

2.2.2 დროეულად გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულებისათვის ხელმომწერი მიმწოდებელს გაზეთის მიწოდების ღირებულებას უხდის წინამდებარე ხელშეკრულებიდან ერთი კვირის ვადაში.

3.2 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისა ან არასათანადოდ შესრულებისათვის მიმწოდებელსა და ხელმომწერს ეკისრებათ სრული მატერიალური პასუხისმგებლობა.

4.2 ფორს-მაჟორის შემთხვევაში, (წყალდიდობა, მიწისძვრა, სხვა სტიქიური უბედურება) დაზარალებული მხარე ვალდებულია წარუდგინოს მეორე მხარეს ყველა საჭირო დოკუმენტი ზარალის რაოდენობის შესახებ.

4.3 მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა, უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ 20 დღის განმრავლობაში თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, რომლის მისამართია ქ. თბილისის, ჟიული შარტავას ქ. №7 მე-5 სართული.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმომწერის მომენტიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 ხელშეკრულების ვადის შეცვლა, გაგრძელება ან სხვა ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება.მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

6. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

6.1 **მიმწოდებელი:** შპს "გაზეთი იბერია"
ქ. თბილისი - 0105, ლადო ასათიანის ქ. 13.
ტელ: 895398963.
საიდენტიფიკაციო: №204529929
სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: 220 101 502
ანგარიშისწორების ანგარიში: №258041100

6.2 **მიმღები:** **სსიპ თელავის** ფშაველის საჯარო სკოლა
სოფელ ფშაველი
ტელ: 855 16 68 30
საიდენტიფიკაციო: № 231263771
სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: № 184229300

6.4 ხელმოწერა:

ნ.დუგლაძე

ბ.ხაჩიძე